

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №121

2014 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.

### მუხლი 1

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.

### მუხლი 2

1. ეთხოვს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს ეროვნულ ბანკს, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებს, ავტომობილების შესყიდვისა და განაწილებისას იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით განსაზღვრული პრინციპებით.

2. ეთხოვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.

### მუხლი 3

ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება:

ა) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებზე, გარდა ამ დადგენილების 4<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზღვარგარეთ თავდაცვის ატაშეებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების ავტომობილებზე, გარდა ამ დადგენილების 4<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ<sup>1</sup>) საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მივლენილი დაზვერვის ოფიციალური წარმომადგენლების ავტომობილებზე, გარდა ამ დადგენილების 4<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ<sup>2</sup>) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეებსა და მეკავშირე ოფიცრებზე რიცხულ/განპიროვნებულ ავტომობილებზე, გარდა ამ დადგენილების 4<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

გ) „ოპერატიულსამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებზე „ოპერატიულსამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების ნაწილში;

დ) საქართველოს თავდაცვის ძალებზე თავდაცვის ძალების სამხედრო ფუნქციების განხორციელების ნაწილში;



ე) აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების საპროტოკოლო/სასტუმრო ავტომობილებზე;

ვ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებზე.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის დადგენილება №625 – ვებგვერდი, 19.11.2014წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №609 – ვებგვერდი, 27.12.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 სექტემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 25.09.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის დადგენილება №290 – ვებგვერდი, 28.07.2025წ.  
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №407 – ვებგვერდი, 18.09.2025წ.

#### **მუხლი 4**

საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა 2014 წლის 1 აპრილამდე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიას წარუდგინონ საკუთარი სპეციფიკის და თავისებურების გათვალისწინებით საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, აგრეთვე თავდაცვის ატაშეების და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების ავტომობილების გადანაწილების, კუთვნილების და კლასიფიკაციის წესის, ასევე საპროტოკოლო/სასტუმრო ავტომობილების კლასიფიკაციისა და გამოყენების წესის პროექტი შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

#### **მუხლი 4<sup>1</sup>**

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლება ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.

#### **მუხლი 4<sup>2</sup>**

საზღვარგარეთ თავდაცვის ატაშეებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩანაცვლება ხდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 სექტემბრის დადგენილება №600 – ვებგვერდი, 25.09.2020წ.

#### **მუხლი 4<sup>3</sup>**

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მივლენილი დაზვერვის ოფიციალური წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩანაცვლება ხდება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით, ამავე სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების – დაზვერვის სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის დადგენილება №290 – ვებგვერდი, 28.07.2025წ.

#### **მუხლი 4<sup>4</sup>**

საზღვარგარეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეებსა და მეკავშირე ოფიცრებზე რიცხული/განპიროვნებული ავტოსატრანსპორტო საშუალების, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლება ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №407 – ვებგვერდი, 18.09.2025წ.

#### **მუხლი 5**

2014 წლის 1 ივლისამდე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიას საკუთარი სპეციფიკის და თავისებურებების გათვალისწინებით:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარუდგინოს სახელმწიფო ავტომობილების, მათ შორის ოპერატიული და სპეციალიზირებული ავტომობილების გადანაწილების წესისა და დამატებითი კლასიფიკაციის პროექტი;

ბ) „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულმა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელმა ორგანოებმა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა წარუდგინოს ოპერატიული და სპეციალიზირებული ავტომობილების



გადანაწილების წესისა და დამატებითი კლასიფიკაციის პროექტი.

## მუხლი 6

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს ავტომობილების მინების დამუქებისა და სპეციალური ციმციმა და ხმოვანი სიგნალების მონტაჟის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების განახლებული რეგულაციების შემუშავება არაუგვიანეს 2014 წლის 28 თებერვლამდე.

## მუხლი 7

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციის ნაწილში ახალ შესასყიდ/ჩანაცვლებულ ავტომობილებზე, ხოლო არსებული ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმა აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაწესებულებამ წარუდგინოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიას 2014 წლის 1 აპრილამდე.

2. აღნიშნული დადგენილება, გარდა დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მესამე პუნქტისა და ავტომობილებისთვის დაწესებული საგარანტიო პირობებისა, ვრცელდება, აგრეთვე, მეორადი ავტომობილების შესყიდვაზე.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის დადგენილება №625 – ვებგვერდი, 19.11.2014წ.*

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

## სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.*

### მუხლი 1. მოქმედების სფერო

სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი“ (შემდგომში – წესი) ადგენს ერთიან სტანდარტს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის მსუბუქი ავტომობილების განპიროვნებული და მორიგე ფუნქციების განაწილებისას, ახდენს ავტომობილების კლასიფიკაციასა და კლასების განაწილებას, განსაზღვრავს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებსა და ზღვრული ფლობის ღირებულებას.

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.*

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება) – საქართველოს სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მათ სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება და საჯარო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომში – სსიპ), საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და საქართველოს მთავრობის/ საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომში – ა(ა)იპ), 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმო;

ბ) განპიროვნებული ავტომობილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც იმყოფება კონკრეტული დაწესებულების ბალანსზე და გადაცემულია სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე;

გ) სამორიგეო ავტომობილი ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე (გარდა საპროტოკოლო/სასტუმრო ავტომობილებისა) დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც არ განკუთვნილია განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე;



დ) საშტატო რიცხოვნობა ფაქტიურ საშტატო რიცხოვნობას (გარდა ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული, მაგრამ საგანმანათლებლო რესურსცენტრების გათვალისწინებით საშტატო რიცხოვნობისა) გამოკლებული განპიროვნებული ავტომობილებით უზრუნველყოფილი საშტატო რიცხოვნობა;

ე) გათანაბრებული თანამდებობის პირი – აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, რომელსაც განპიროვნებული ავტომობილით სარგებლობის უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №439 – ვებგვერდი, 27.08.2015წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის დადგენილება №275 – ვებგვერდი, 12.06.2019წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №536 – ვებგვერდი, 11.11.2019წ.  
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის დადგენილება №290 – ვებგვერდი, 28.07.2025წ.

### **მუხლი 3. განპიროვნებული ავტომობილით მოსარგებლე თანამდებობის პირები**

განპიროვნებული ავტომობილი შეიძლება გააჩნდეს შემდეგ თანამდებობის პირებს:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

ბ) საქართველოს მინისტრი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე და მათთან გათანაბრებული თანამდებობის პირი;

გ) საქართველოს მინისტრებისა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრების პირველი მოადგილე, მოადგილეები, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე და მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი;

დ) დეპარტამენტის უფროსი ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი;

ე) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სსიპის, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი, გარდა ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

ვ) სსიპ-ის, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს გამგეობის/სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

ზ) იმ სსიპ-ის, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელის მოადგილე, რომლის საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 100-ს, გარდა ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

თ) იმ სსიპ-ის, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს დეპარტამენტის უფროსი ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი, რომლის საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 500ს, გარდა ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

ი) ამ მუხლით განსაზღვრული დაწესებულებების რეგიონალური ან/და რაიონული წარმომადგენლობების ხელმძღვანელები.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №536 – ვებგვერდი, 11.11.2019წ.  
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის დადგენილება №290 – ვებგვერდი, 28.07.2025წ.

### **მუხლი 4. დაწესებულებები, რომლებზეც არ ვრცელდება განპიროვნებული ავტომობილებით სარგებლობის უფლება**



ამ წესის მეზ მუხლით განსაზღვრული განპიროვნებული ავტომობილებით სარგებლობის უფლება არ ვრცელდება შემდეგ დაწესებულებებზე:

- ა) საჯარო სკოლა;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება;
- გ) საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
- დ) თეატრი;
- ე) ანსამბლი;
- ვ) მუზეუმისა და ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- ზ) სპორტული სახეობების ფედერაცია.

## **მუხლი 5. სამორიგეო ავტომობილის რაოდენობის განსაზღვრისა და გამოყენების წესი**

1. სამორიგეო ავტომობილის რიცხვი დგინდება შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნობამდე დაწესებულების შემთხვევაში 1 ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე დამატებით 1 ავტომობილი.
2. სამორიგეო ავტომობილების რიცხოვნობის გაანგარიშებისას წილადი შედეგის მიღებისას დამრგვალება ხდება არითმეტიკული წესის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაანგარიშების შედეგი ნაკლებია 1ზე, როდესაც დამრგვალება, მიუხედავად მეათედის ოდენობისა ხდება 1 მთელამდე.
3. ზამთრის პერიოდში კლიმატური და რელიეფური თავისებურების გათვალისწინებით დასაშვებია მორიგე მაღალი გამავლობის ავტომობილების არსებობა, რომელიც შეესაბამება სეზონური და რელიეფური ავტომობილების კლასს.
4. ფაქტობრივი საშტატო რიცხოვნობის შემცირებისას არ ხდება სამორიგეო ავტომობილების რიცხოვნობის შემცირება და გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებისამებრ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ვითარება გრძელდება 6 თვეზე მეტი პერიოდით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიას შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

## **მუხლი 6. ავტომობილების კლასიფიკაციის წესი**

1. ავტომობილის კლასი არის დადგენილი მინიმალური სპეციფიკაციისა და ავტომობილის ფლობის ღირებულების შესაბამისად განპიროვნებული და სამორიგეო საჭიროების მსუბუქი ავტომობილების სტანდარტი, რომელიც საყოველთაო ადმინისტრაციული დანიშნულებისათვის.
2. ავტომობილის კლასიფიკაციის წესი ადგენს მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს თითოეული კლასისათვის, რომელიც გამოიყენება შემდგომი შესყიდვისათვის.
3. დაუშვებელია შესყიდვის დოკუმენტაციაში დადგენილი მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების გაზრდა, გარდა კლასის ცვლილებისა, რომლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისია შესაბამისი, ობიექტურად დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

4. მიმწოდებელ სუბიექტებს შეუძლიათ, შეთავაზებისას გააუმჯობესონ მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები (გაუმჯობესებულ ვარიანტად ჩაითვლება ცხენის ძალის ზრდა, ავტომატური კოლოფის



შეთავაზება, მექანიკური კოლოფის შემთხვევაში, 5საფეხურზე მეტი გადაცემის შემთხვევა, საწვავის ტიპი – ჰიბრიდი, ჰიბრიდული ავტომობილის შემთხვევაში Plug-In მოდიფიკაცია), მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს მონაწილის უპირატესობას და ყველაზე დაბალი ფასისა და შესყიდვის დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მყოფი პრეტენდენტი ცხადდება გამარჯვებულად შესაბამისი პროცედურის დაცვით.

5. ავტომობილის ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობა დგინდება 150 ათას კილომეტრზე გარანტიის მოქმედების პერიოდში, შესასყიდი სერვისების/ნაწილების, ავტომობილისა და საწვავის (ელექტრომობილის შემთხვევაში – კილოვატ/საათი (კვტ/სთ)) ფასის ერთობლიობით. 150 ათას კილომეტრზე ზღვრული ფლობის ღირებულების კომპონენტებია:

ა) ავტომობილის შესყიდვის ფასი;

ბ) ძრავის ზეთის ხარჯი;

გ) ძრავის ზეთის ფილტრების ხარჯი;

დ) წინა და უკანა ხუნდების ხარჯი;

ე) ჰაერის ფილტრის ხარჯი;

ვ) კონდიციონერის ფილტრის ხარჯი;

ზ) ანთების საწარმოების ხარჯი;

თ) ძრავის ღვედის ხარჯი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ი) მწარმოებლის რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა ხარჯები;

კ) შიდა წვისა და ჰიბრიდული ავტომობილებისათვის საწვავის ხარჯი (შერეული წვის პირობებში) საპასპორტო მონაცემებით, ხოლო ელექტრომობილის შემთხვევაში – მოხმარებული კილოვატ/საათი (კვტ/სთ) საპასპორტო მონაცემებით.

6. შიდა წვისა და ჰიბრიდული ავტომანქანის შესყიდვის დროს საწვავის ხარჯის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი რაოდენობის ნამრავლით ერთი ლიტრი საწვავის პირობით ფასზე, რომელიც ტოლია 1-ის, ხოლო ელექტრომობილის შემთხვევაში – შესაბამისი რაოდენობის ნამრავლით ერთი კილოვატ/საათის პირობით ფასზე, რომელიც ტოლია 0.20-ის.

7. 150 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების ფარგლებში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს მიაწოდოს ხუნდები, საჭიროების შემთხვევაში, წინა – სულ მცირე, შვიდჯერ, ხოლო უკანა – სულ მცირე, ოთხჯერ.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ამოწურვის შემდგომ, ხუნდების ყოველი შემდგომი შესყიდვა ანაზღაურებული იქნება შემსყიდველის მიერ არა დადგენილი ფლობის ღირებულების ფარგლებიდან, არამედ ავტოტექნომსახურების დამატებით გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით.

9. მიმწოდებელი ვალდებულია, უსასყიდლოდ განახორციელოს დადგენილი ფლობის ფარგლებში იმ კომპონენტების შეცვლა ან/და მომსახურება, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული ფლობის ღირებულებაში.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტში არ შედის სწრაფცვითადი ნაწილები (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი).

11. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს



განფასებას (საქონლის მახასიათებლები და ბრენდი, რაოდენობა, ცვლის პარამეტრი და ერთეულის ფასი), ფლობის ღირებულების კომპონენტების მიხედვით, რომელიც შემდგომში აისახება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში.

12. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, იმ შემთხვევაში, თუ არ გაუარესდება შემსყიდველი ორგანიზაციის პირობა, ქარხანა-მწარმოებლების რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია, ფლობის ღირებულების კომპონენტების მახასიათებლების, ბრენდის, რაოდენობისა და ცვლის პარამეტრის ცვლილება.

13. შემსყიდველი, ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტთან აფორმებს მხოლოდ ავტომობილის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას, ხოლო ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ – „ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ავტომობილის ფლობის ღირებულების კომპონენტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, შემსყიდველი ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ან მის მიერ ავტორიზებულ ორგანიზაციასთან (მიმწოდებელთან, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას იმ საგარანტიო პირობების ანალოგიურად, რომელსაც თავდაპირველი მიმწოდებელი სთავაზობს შემსყიდველს) დებს ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ წლოვანებას ან/და გარანტიის პირობებს.

14. კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის შემთხვევაში, შესაძლებელია, ავტომობილისა და მისი ფლობის ღირებულების კომპონენტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გაფორმდეს ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში.

15. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარდგენილი განფასება ძალაში იქნება ავტომობილის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე, ფლობის განმავლობაში, თუ ავტომობილის ტექნიკური მომსახურება განხორციელდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან.

16. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს გამოცხადების დღით ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორებისას – ეროვნულ ვალუტაში საქონლის ფაქტობრივი მიწოდების დღის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

16<sup>1</sup>. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესყიდვა განხორციელოს შესაბამისი ჰიბრიდული – მსუბუქი ჰიბრიდი (MHEV) ან/და სრულად ჰიბრიდი (HEV) ავტომობილის მითითებით.

17. ყოველი კონკრეტული შესყიდვისას შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს ბაზრის კვლევასა და ანალოგიურ კლასში ისტორიული სტატისტიკის ანალიზს ობიექტური სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით (რაოდენობრივი და სხვა კომერციული პირობების გათვალისწინებით), მაგრამ არაუმეტეს ამ წესით დადგენილი ზღვრული ფლობის ღირებულებისა თითოეული კლასის მიხედვით.

18. შემსყიდველი ორგანიზაცია ბაზრის კვლევის ჩატარებისა და ზღვრული ფლობის ღირებულების (ავტომანქანის, ავტომანქანის სერვისის/ნაწილის და საწვავის ან კილოვატ/საათის ღირებულების ჯამი) დადგენის შემდეგ ტენდერს აცხადებს ჯამურ ღირებულებაზე (ავტომანქანის ფასს დამატებული ფლობის ღირებულების ფასი და საწვავის ან კილოვატ/საათის ფასი).

19. მიმწოდებელი ვალდებულია, ტენდერის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული ფასი წარადგინოს კომპონენტების მიხედვით (ავტომანქანის, ავტომანქანის სერვისისა და საწვავის ან კილოვატ/საათის ღირებულების მიხედვით). წინამდებარე კლასიფიკაცია ვრცელდება ყველა ახალ შესყიდვაზე და არ ითვალისწინებს არსებული სახელმწიფო პარკის მყისიერ მორგებას ამ წესით განსაზღვრული კლასიფიკაციისა და თანამდებობის მიხედვით.

20. ამ წესის მიზნებისათვის, ავტომობილების კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი ნიშნით: I, II, III, IV კლასისა და სპეციალიზებული კლასის ავტომობილები. ავტომობილის თითოეული კლასით



მოსარგებლე პირთა კატეგორია, ასევე კონკრეტული კლასისათვის წაყენებული მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განისაზღვრება ამ წესის დანართით. ავტომობილების ზომები განისაზღვრება ქარხნული წარმოების აქსესუარების ჩათვლით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №658 – ვებგვერდი, 05.12.2014წ.  
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილება №448 – ვებგვერდი, 31.08.2015წ.  
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №26 – ვებგვერდი, 21.01.2016წ.  
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.  
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის დადგენილება №275 – ვებგვერდი, 12.06.2019წ.  
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №544 – ვებგვერდი, 30.11.2022 წ.  
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 2 აპრილის დადგენილება №99 – ვებგვერდი, 04.04.2025 წ.

## მუხლი 7. წესით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენა

1. დაწესებულების სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე წინამდებარე წესიდან გამონაკლისების შესახებ მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისია შესაბამისი დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე (მათ შორის, ფუნქციონალური საჭიროების ავტომობილების და შესაბამისი კლასის განსაზღვრის, ხელშეკრულებით არსებული საშტატო რიცხოვნობის და კლასის ცვლილების შესახებ).

2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

დანართი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის დადგენილება №275 – ვებგვერდი, 12.06.2019წ.

## კლასების განაწილება, მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები და ზღვრული ფლობის ღირებულება

**მუხლი 1.** ეს დანართი განსაზღვრავს ავტომობილის კონკრეტული კლასისათვის მიკუთვნების კრიტერიუმებს, ასევე განსაზღვრული ნიშნით მისი თანამდებობრივი ან ზოგადი დანიშნულებით გამოყენების წინაპირობებს.

**მუხლი 2.** ვალუტის კურსი წარმოადგენს ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ გაცვლით კურსს.

## მუხლი 3

1. IV კლასის ავტომობილი გამოიყენება შემდეგი დანიშნულებით:

ა) საკურიერო-საფელდეგერო;

ბ) მცირე მომარაგების;

გ) ქალაქის შიგნით თანამშრომლების ტრანსპორტირებისათვის.

2. IV კლასის ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №1-ის შესაბამისად.





2<sup>1</sup>. IV კლასის ჰიბრიდული ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №1<sup>1</sup>-ის შესაბამისად.

3. IV კლასის ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 19000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

3<sup>1</sup>. IV კლასის ჰიბრიდული ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 25300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №544 - ვებგვერდი, 30.11.2022 წ.

#### მუხლი 4

1. III კლასის მსუბუქი ავტომობილი გამოიყენება შემდეგი დანიშნულებით:

ა) ზოგადი დანიშნულებით:

ა.ა) სამორიგეო;

ა.ბ) მომარაგების;

ა.გ) თანამშრომლების ტრანსპორტირებისათვის ქვეყნის მასშტაბით;

ბ) განპიროვნებული:

ბ.ა) რეგიონული და/ან რაიონული/მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის, რომელთა საშტატო რიცხოვნობა ნაკლებია 300 საშტატო ერთეულზე;

ბ.ბ) სსიპ-ის, ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელისა და ხელმძღვანელის მოადგილისთვის ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირისთვის, თუ მათი საშტატო რიცხოვნობა ნაკლებია 300 საშტატო ერთეულზე;

ბ.გ) სსიპ-ის, ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელის მოადგილისთვის ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირისთვის, თუ მათი საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 300 საშტატო ერთეულს;

ბ.დ) სსიპ-ის, ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს დეპარტამენტის უფროსისთვის ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირისთვის, თუ მათი საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 500 საშტატო ერთეულს.

2. III კლასის მსუბუქი ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №2-ის შესაბამისად.

2<sup>1</sup>. III კლასის მსუბუქი ჰიბრიდული ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №2<sup>1</sup>-ის შესაბამისად.

3. III კლასის მსუბუქი ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 21000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

3<sup>1</sup>. III კლასის მსუბუქი ჰიბრიდული ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 32000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

4. III კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №3-ის შესაბამისად.



4<sup>1</sup>. III კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ჰიბრიდული ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №3<sup>1</sup>-ის შესაბამისად.

5. III კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 29600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

5<sup>1</sup>. III კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ჰიბრიდული ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 30600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №544 - ვებგვერდი, 30.11.2022 წ.

## მუხლი 5

1. II კლასის ავტომობილი განკუთვნილია შემდეგი თანამდებობის პირებისათვის:

ა) დეპარტამენტის უფროსი ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი;

ბ) სსიპ-ის, ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი, თუ მათი საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 300 საშტატო ერთეულს;

გ) რეგიონული და/ან რაიონული/მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი, რომელთა საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 300 საშტატო ერთეულს;

დ) სსიპ-ის, ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელის მოადგილე, თუ საშტატო რიცხოვნობა ტოლია ან აღემატება 500 საშტატო ერთეულს.

2. II კლასის მსუბუქი ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №4-ის შესაბამისად.

2<sup>1</sup>. II კლასის მსუბუქი ჰიბრიდული ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №4<sup>1</sup>-ის შესაბამისად.

2<sup>2</sup>. II კლასის მსუბუქი ელექტრომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №4<sup>2</sup>-ის შესაბამისად.

3. II კლასის მსუბუქი ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 26600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

3<sup>1</sup>. II კლასის მსუბუქი ჰიბრიდული ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 33900 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

3<sup>2</sup>. II კლასის მსუბუქი ელექტრომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 42900 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

4. II კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია – ცხრილი №5-ის შესაბამისად.

4<sup>1</sup>. II კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ჰიბრიდული ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №5<sup>1</sup>-ის შესაბამისად.

5. II კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 32500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.



5<sup>1</sup>. II კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ჰიბრიდული ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 41100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №544 - ვებგვერდი, 30.11.2022 წ.

## მუხლი 6

1. I კლასის ავტომობილი განკუთვნილია შემდეგი თანამდებობის პირებისათვის:

ა) მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, მოადგილეები და მათთან გათანაბრებული თანამდებობის პირები;

ბ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე და მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე;

დ) სსიპ-ის, ა(ა)იპ-ის, 50%-ზე მეტი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი, თუ მათი საშტატო რიცხოვნობა აღემატება 500 საშტატო ერთეულს;

ე) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსი და მოადგილე.

2. I კლასის მსუბუქი ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილ №6-ის შესაბამისად.

2<sup>1</sup>. I კლასის მსუბუქი ჰიბრიდული ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №6<sup>1</sup>-ის შესაბამისად.

2<sup>2</sup>. I კლასის მსუბუქი ელექტრომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №6<sup>2</sup>-ის შესაბამისად.

3. I კლასის მსუბუქი ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 35300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

3<sup>1</sup>. I კლასის მსუბუქი ჰიბრიდული ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 40300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

3<sup>2</sup>. I კლასის მსუბუქი ელექტრომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 54600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

4. I კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილ №7-ის შესაბამისად.

4<sup>1</sup>. I კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ჰიბრიდული ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №7<sup>1</sup>-ის შესაბამისად.

4<sup>2</sup>. I კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ელექტრომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილი №7<sup>2</sup>-ის შესაბამისად.

5. I კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 50200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

5<sup>1</sup>. I კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ჰიბრიდული ავტომობილის ზღვრული ფლობის



ღირებულებაა 53400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

5<sup>2</sup>. I კლასის მსუბუქი მაღალი გამავლობის ელექტრომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 58700 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

**შენიშვნა:** I კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი ასევე შეესაბამება სეზონური და რელიეფური ავტომობილების კლასს, რომელიც შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც ზამთრის პერიოდში, ასევე მძიმე რელიეფური პირობებისათვის. სეზონური ავტომობილის საჭიროების დადგენა ხდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №536 – ვებგვერდი, 11.11.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №544 - ვებგვერდი, 30.11.2022 წ.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის დადგენილება №290 - ვებგვერდი, 28.07.2025წ.

## მუხლი 7

1. სპეციალიზებული კლასის ავტომობილებია:

ა) ავტომობილი, რომელიც გამოიყენება სპეციალური დანიშნულებით, კონკრეტული საქმიანობის შესასრულებლად;

ბ) პიკაპი;

გ) განსხვავებული სპეციფიკაციის ავტომობილი, რომელიც სპეციალიზებული კლასის ავტომობილად განისაზღვრება 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით.

2. სპეციალიზებული კლასის ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილ №8-ის შესაბამისად.

3. სპეციალიზებული კლასის ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებაა 34800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

**მუხლი 8.** შესასყიდი ყველა კლასის ავტომობილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის, გარდა შავისა.

**მუხლი 9.** შესასყიდი ყველა კლასის ავტომობილი უნდა იყოს მარცხენასაჭიანი.

## მუხლი 10. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №544 - ვებგვერდი, 30.11.2022 წ.

ცხრილი №1

| IV კლასი ავტომობილი   |                                     |
|-----------------------|-------------------------------------|
| ცხენის ძალა არანაკლებ | 66                                  |
| გადაცემათა კოლოფი     | მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი |
| სიგრძე არანაკლებ      | 3500                                |



|                                                                                                                                                    |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სიგანე არანაკლებ                                                                                                                                   | 1595                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| სიმაღლე არანაკლებ                                                                                                                                  | 1470                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| საგარანტიო პირობები                                                                                                                                | 5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომაქსაზე, გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი); |
| უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი | NCAP (ევრო ქრამტესტი), IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| ელექტრომუშები                                                                                                                                      | მინიმუმ წინა ორი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                | სათადარიგო საბურავი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                | წინა 2 უსაფრთხოების ბალიში                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                | კონდიციონერი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                | აუდიოსისტემა, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                | საჭის გამამდიერებელი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის დადგენილება №625 – ვებგვერდი, 19.11.2014წ.  
 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 21.01.2016წ.  
 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №157 – ვებგვერდი, 03.04.2018წ.  
 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის დადგენილება №275 – ვებგვერდი, 12.06.2019წ.

ცხრილი №1<sup>1</sup>

|                                     |                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
|-------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| IV კლასის ავტომობილი                |                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| საწვავის ტიპი                       | ჰიბრიდი                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| კომბინირებული ცხენის ძალა არანაკლებ | 70                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| კარები                              | 4/5 (4 სალონის + 1 საბარგულის)                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| გადაცემათა კოლოფი                   | მექანიკური, არანაკლებ 5-საფეხურიანი                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| სიგრძე არანაკლებ                    | 3521                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| სიგანე არანაკლებ                    | 1746                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| სიმაღლე არანაკლებ                   | 1433                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| საგარანტიო პირობები                 | 7 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი, ჰიბრიდის აგრეგატი (მათ შორის ჰიბრიდის ელემენტები)), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომაქსაზე, გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი |



|                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                                                                                                                                                | ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი) |
| <p>უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება</p> <p>ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ</p> <p>მოდIFIკაციაზე აღებული შესაბამისი</p> <p>ქრამტესტის სერტიფიკატი</p> | NCAP (ევრო ქრამტესტი), IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)                                                                |
| ელექტრომუშები                                                                                                                                                                  | მინიმუმ წინა 2                                                                                                                                 |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                                            | მინიმუმ 2 უსაფრთხოების ბალიში                                                                                                                  |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                                            | კონდიციონერა                                                                                                                                   |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                                            | აუდიოსისტემა                                                                                                                                   |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                                            | ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა                                                                                                           |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                                            | ESC – სტაბილურობის ელ. კონტროლი                                                                                                                |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                                            | საჭის ელექტრო- ან ჰიდროგამაძლიერებელი                                                                                                          |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                                            | ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით                                                                                                          |
| აუცილებელი მოთხოვნა                                                                                                                                                            | სარკების ელ. რეგულირება                                                                                                                        |

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №544 - ვებგვერდი, 30.11.2022 წ.

ცხრილი №2

